საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/10/2022

1746-09-02-11-3-202210281637

N 1746

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ“ (N09-02-13-ა/739, 16.09.2022 წელი, პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 2 (ორი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

09-01-08/34
28. 10. 2022
11 სულელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

24/10/2022
N 1714

1714-09-02-11-3-202210240941

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 16 სექტემბერს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - ***„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების" შესახებ*** (09-02-13-ა/739, 16.09.2022წ. პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე). წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 20 სექტემბერს, მხარდამჭერების შეგროვების მიზნით (არანაკლებ 200 მხარდამჭერი), გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 20 ოქტომბერს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 257 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „10„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: ნესტან

ავტორის გვარი: ანანიძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Nestan

ავტორის გვარი ბარათიდან: Ananidze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

ავტორის მობილური: [redacted]

ავტორის ელფოსტა: [redacted]

პეტიციის სათაური: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და კანონით დადგენილი წესი

პეტიციის შინაარსი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუსლიმურ საკულტო ნაგებობებს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა: ადგილობრივი მოსახლეობის თვალწინ ნადგურდება საუკუნოვანი უნიკალური საკულტო ნაგებობები, რომლებიც რეგიონის ისტორიული მეხსიერებისა და ყოფის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.
საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობას ავალდებულებს, რაც სამწუხაროდ, არც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და არც აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხრიდან სათანადოდ არ ხორციელდება, პარალელურად, რამდენიმე დასახლებულ პუნქტში მუსლიმი თემის წარმომადგენელთა სპონტანური და არაკვალიფიციური ჩარევა, რაც უნდა კეთილშობილური მიზნებით იყოს ეს განპირობებული, საკულტო ნაგებობებს კიდევ უფრო მეტად აზიანებს: ირღვევა უნიკალური არქიტექტურული ქსოვილი, იკარგება თვითმყოფადობის ელემენტები, კუსტარული ჩარევა ძეგლის აგებულებაში მას პირვანდელ სახეს უკარგავს და საბოლოოდ ჯეროვანი რეაბილიტაციის ნაცვლად, ვიღებთ სრულიად დამახინჯებულ და არაავთენტურ საკულტო ნაგებობებს.
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, უძრავი ძეგლის სტატუსი აჭარაში არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობებიდან სულ 29-ს აქვს მინიჭებული (ქედაში - 18-ს, ქობულეთსა და ხულოში -4-4-ს, თითოს - ბათუმში, ხელვაჩაურსა და შუახევში).
ასევე, სააგენტო იტყობინება, რომ 29 ნაგებობიდან 2017-2021 წლებში სულ ორს ჩაუტარდა რეაბილიტაცია: ქობულეთში, სოფელ ხალაში მდებარე მეჩეთი ნაწილობრივ რეაბილიტირდა; რეაბილიტირდა ბათუმის ცენტრალური მეჩეთის დიდი დარბაზიც; შესყიდულია ძენწმანისა და ზვარეს ჯამეების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, მიმდინარე წელს ძენწმანში უნდა დაიწყოს ჯამის სარეაბილიტაციო სამუშოები, 2023 წელს კი - ზვარეს მეჩეთში.
აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის აჭარის უნიკალური ხის მეჩეთებისა და ჯამეების მოვლა-რეაბილიტაცია პრიორიტეტულ მიმართულებას არ წარმოადგენს.
პეტიციის მიზანი ამგვარი დამოკიდებულების კვლევა არ არის - პეტიციის წარმდგენი მოქალაქეები აჭარაში არსებულ, მათგან ზოგ გაქრობისა და განადგურების პირამდე მისულ ისლამური კულტურის ნაგებობებს განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ყოფისა და მეხსიერების უნიკალურ, განუმეორებელ ნაწილად, რომლის მოვლა სახელმწიფოსა და მოქალაქეების ისეთივე ვალდებულებაა, როგორც ნებისმიერი სხვა რელიგიის საკულტო, სამოქალაქო თუ თავდაცვითი ისტორიული ნაგებობების აღრიცხვა, მოვლა, რეაბილიტაცია იქ, სადაც ეს შესაძლებელია და მომავალი თაობებისთვის გადაცემა ამავე მიზნებით.
პეტიციის წარმდგენი მოქალაქეები მივმართავთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, რათა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, აჭარის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ისევე, როგორც მთელ მთავრობას, მოუწოდოს აჭარაში ისლამური კულტურის ძეგლების აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია მთავრობის პრიორიტეტი გახდეს, კერძოდ, მომდევნო წლის ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტი დაიგეგმოს იმგვარად, რომ ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების გადაჭრა გათვალისწინებულ იქნას, შესაბამისი ზომები მიიღონ, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, ასევე მუნიციპალიტეტებმა - შეიქმნას ისლამური კულტურის ძეგლთა ერთიანი რეესტრი, მომზადდეს მათი გადარჩენის, რეაბილიტაციის-მოვლა პატრონობისა და პოპულარიზაციის სტრატეგიული დოკუმენტი, ასევე

რესპუბლიკა
ტერიტორიული
ადმინისტრაციული
ერთეულების
ადმინისტრაციული
ორგანოების
ერთიანი
ელექტრონული
დოკუმენტბრუნვის
სისტემა
შემავალი № 03-02-13
03 02 დანართი

მთავრობამ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, ძეგლების ნაგებობებში დაუგეგმავი და არაკვალიფიციური ჩარევის (მიშენების, დემონტაჟის, შეცვლის და ა.შ.) აღსაკვეთად.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

20/09/2022
N 1540

1540-09-02-11-3-202209201724

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე პეტიციის შესახებ

(N09-02-13-ა/739, 16.09.2022 წ. პეტიციის ავტორი: ნესტან ანანიძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე მოქალაქე ნესტან ანანიძის 2022 წლის 16 სექტემბრის N09-02-13-ა/739 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი